დევიდ ლინჩი წეროვანში სხვადასხვა სამხედრო მისიაში დაშავებულ ჯარისკაცებს შეხვდა

ორშაბათი, 20 ნოემბერი, 2017 - 10:59 0 კომენტარი

ფოტო: თავდაცვის სამინისტრო

დევიდ ლინჩი წეროვანის სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაციის ცენტრს ეწვია. ამერიკელი რეჟისორი და ფონდის დამფუძნებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და სხვადასხვა სამშვიდობო მისიაში დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდა. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დევიდ ლინჩმა მათ ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც დაშავებული სამხედროების მხარდაჭერასაც ითვალისწინებს. მოგვიანებით კი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ფოტო: თავდაცვის სამინისტრო

ამერიკელ რეჟისორს წეროვანში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ზაალ კაპანაძე და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ზაზა ჩხაიძე დახვდნენ.

რეჟისორმა დევიდ ლინჩის ფონდი 2005 წელს აშშ-ში დააარსა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში ფუნქციონირებს. საქართველოში ფონდის წარმომადგენლობა 2017 წლის ივლისში დაფუძნდა. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები დევიდ ლინჩის სახელობის ამერიკული უნივერსიტეტისა და A კლასის კინოფესტივალის დაარსება, ასევე ტრანსცენდენტალური მედიტაციის პროგრამის მეშვეობით ტრავმული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციაა.

თემები:

დევიდ ლინჩი წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრი დევიდ ლინჩის ფონდი

მოკლე ბმული:

მეტი ვიდეო

THE AMERICAN FILM DIRECTOR DAVID LYNCH MET WITH THE MILITARIES WOUNDED AND INJURED IN THE PEACE MISSIONS

David Lynch visited Tserovani Rehabilitation Center. The American film director and the founder of the Foundation met with the militaries wounded and injured in the combats for the territorial integrity of Georgia and Peace Missions. According to the Ministry of Defence David Lynch introduced the information about the activities of the Foundation to them, which coprises support to the injured militaries. Later the meeting was continued in Q&A format.

The deputy Minister of Defence Zaal Kapanadze and and Deputy Chief of General Staff of Armed Forces, the Division General – Zaza CHkhaidze hosted the American film director.

The film director established the foundation in USA in 2005. The main branches are in USA, Great Britain, France and Ukraine. The representative office of the Foundation was established in Georgia in July of 2017. The main directions of its activity are establishment of David Lynch American University and A Class Film Festival, as well as psychological rehabilitation of the people with post-traumatic stress disorder.